პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 28 (6589)

10 1980 წ. თებერვალი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## თბილისის XI საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში



## ლიდერთა რიგებში სიმჭიდროვეა

**როცა** ცნობილი გახდა თბილისის ტურნირის რიგით მეოთხე გამარჯვებულის ვინაობა, გავიფიქრე, რომ ქართველი ძიუდოისტები შარშანდელ წარმატებას ვეღარ გაიმეორებდნენ. მაშინ, პირველი ორი დღის განმავლობაში ჩვენი ფალავნები სამჯერ ავიდნენ უმაღლეს კვარცხლბეკზე — რამაზ ხარშილაძემ (95), დავით ბოდაველმა (86) და აბესალომ წიკლაურმა (78) დაუმარცხებლად განვლეს მთელი ტურნირი. და თუ 95 კგ წონაში წარუმატებლობის ობიექტურ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ხარშილაძისა და ხუბულურის არყოფნა, შემდეგ ორ კატეგორიაში ამდაგვარი მიზეზი არ მოგვეძებნება. ერთადერთი ალბათ მაინც ის არის, რომ ოლიმპიური თამაშები კარზეა მომდგარი, და, როგორც ერთ-ერთმა მწვრთნელმა მოსწრებულად თქვა, დღეს ყველა, ისინიც კი, ვინც აქამდე ჩრდილში იმყოფებოდნენ, ოლიმპიადის საგზურისთვის „მუშაობენო". ერთობ გამწვავებული კონკურენციაც სწორედ ამის შედეგია.

78 კგ წონაში პირველმა სამმა წრემ ოთხი „ოქროს" მაძიებელი დატოვა. მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის სამი წარმომადგენელი — ევროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორი შოთა ხაბარელი, მალხაზ ალბორიშვილი და დილარ ხაბულიანი. მეოთხე იყო ევროპის 1977 წლის ჩემპიონი, ელექტროსტალელი ალექსანდრე ვოლოსოვი. მანამდე ხაბარელმა დაამარცხა ლინიოვი, ბულგარელი პეტროვი, რიმარი და ჩეხი პურკერტი. ალბორიშვილმა — ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი დვოინიკოვი, ისმაილოვი და არუთინიანი, ხაბულიანმა — ფრანგი ჟილბერტი, გერმანელი კუნცე და სემიონოვი. გურამ გუგავამ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის II პრიზიორ რენე დამაშკესთან (გდრ) გამარჯვების შემდეგ მარცხი იწვნია პურკერტთან. შარშანდელ ტურნირში გამარჯვებულმა აბესალომ წიკლაურმა კი ვოლოსოვთან დამარცხების შემდეგ დამამშვიდებელ ტურნირშიც წაიფორხილა იაპონელ ხიროიუკი კაბასაკასთან და ასპარეზობა შეწყვიტა.

ვოლოსოვი — ხაბულიანი და ხაბარელი — ალბორიშვილი. ამ წყვილებში გამარჯვებულნი ფინალში გადიოდნენ. პირველი ორთაბრძოლა ფრედ დამთავრდა, მსაჯებმა უპირატესობა ვოლოსოვს მიაკუთვნეს. მეორე შეხვედრაში გაიმარჯვა ალბორიშვილმა. მერე ხაბარელმა და ხაბულიანმა დამამშვიდებელ ტურნირშიც მარცხი იწვნიეს და საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩნენ. ფინალურ პაექრობაში მცირე უპირატესობით გაიმარჯვა ვოლოსოვმა. ალბორიშვილი მეორე ადგილს დასჯერდა.

86 კგ წონით კატეგორიაში ჩვენი სპორტსმენებიდან სამი წრე შეუფერხებლად მხოლოდ დავით ბოდაველმა განვლო. ერთი კი იყო — ორთაბრძოლიდან ორთაბრძოლამდე სპორტსმენს, როგორც ჩანს, სულ უფრო და უფრო აწუხებდა ნატკენი ხელი და მეოთხე შეხვედრაში მონგოლ ცენდაიუშთან ალბათ ამ ფაქტორმაც იმოქმედა. პირველ წრეშივე გამოეთიშნენ ტურნირს დავითაშვილი და დემეტრაშვილი.

ფინალში ალექსანდრე იაცკევიჩის ერთადერთი ილეთი „კოკათი" შეაფასეს მსაჯებმა და ტურნირში გამარჯვებაც მას დარჩა. II ადგილზე გავიდა ცენდაიუში.

**გ. ირემაძე.**

**სურათებზე:** მარცხნივ — კრიტიკული მომენტი; ზევით — ტურნირის პრიზიორები 86 კგ წონით კატეგორიაში (მარცხნიდან) ტ. ცენდაიუში, ა. იაცკევიჩი, ვ. გუბანოვი და მ. ეია.

●

(ტურნირისადმი მიძღვნილი სხვა მასალები იხ. მე-4 გვ.).

## ეთერშია ლეიკ-პლესიდი

**ზამთრის** ოლიმპიური თამაშების მიმდინარეობის გასაშუქებლად ლეიკ-პლესიდში გაემგზავრა ცენტრალური ტელევიზიისა და საკავშირო რადიოს რეპორტიორთა და სპორტულ კომენტატორთა ჯგუფი.

დროში 8-საათიანი სხვაობის გამო შეუძლებელია თეთრი ოლიმპიადიდან პირდაპირ ტელერეპორტაჟების გადაცემა, ამიტომაც ამა თუ იმ შეჯიბრების ჩანაწერს მაყურებლები მეორე დღეს ნახავენ. ცენტრალური ტელევიზია სპორტის მოყვარულებს დღეში რამდენჯერმე გააცნობს თამაშების მიმდინარეობას. ლეიკ-პლესიდიდან ახალი ამბების პირველი საათნახევრიანი გადაცემა დაიწყება მოსკოვის დროით 10 საათსა და 30 წუთზე (პირველი პროგრამით). მასში ნაჩვენები იქნება ერთი ან ორი ასპარეზობის მოვლენები. მომდევნო ორსაათიანი გადაცემა დაიწყება 19 საათზე. ამ დროს ტელემაყურებლები ნახავენ ან ჰოკეის მატჩებს, ან ფიგურული ციგურაობის ოსტატთა ასპარეზობას. ამ დღეებში პროგრამა „ვრემიას" ტრადიციული ხუთწუთიანი სპორტული გამოშვების ნაცვლად „ვრემიას" დამთავრებისთანავე დაიწყება გადაცემა თეთრი ოლიმპიადიდან. ამ გადაცემაში დამონტაჟებული იქნება სათხილამურო ბილიკებიდან, ტრამპლინიდან, ჰოკეის მოედნიდან ყველაზე საინტერესო მოვლენების რეპორტაჟები.

ყოველდღიურად, მოსკოვის დროით 17 საათზე „მაიაკით" გადმოიცემა ოპერატიული ინფორმაციები. „უკანასკნელ ცნობებში" საკავშირო რადიოს დიქტორები მსმენელებს გააცნობენ ოლიმპიური სტარტების შედეგებს. 22 საათსა და 45 წუთზე ეთერში გავა „სპორტული დღიური".

## გმობენ მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტის მცდელობას

**ბრაზილია.** ბრაზილია მონაწილეობას მიიღებს მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში, ბრაზილიის პრეზიდენტ ჟ. ფიგეირედუსთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრმა ჟ. აველანჟმა.

**ლონდონი.** „ოლიმპიური თამაშები აუცილებლად უნდა ჩატარდეს მოსკოვში", — განაცხადა სოკ-ის წევრმა მ. ექსეტერმა. ეს განცხადება ნათლად გამოხატავს დიდი ბრიტანეთის გამოჩენილ საზოგადოებრივ და სპორტულ მოღვაწეთა აზრს.

მოსკოვი უნდა გახდეს ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი, — ასე მიაჩნია ინგლისის თანამედროვე ხუთჭიდის ასოციაციის მეთაურს რონ ბრაიტს.

მოსკოვის ოლიმპიადისთვის გულმოდგინედ ემზადება მონრეალის ოლიმპიადისა და სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი დ. ნაიტინგეილი. ინგლისელი ათლეტი, მოსკოვის ოლიმპიადისთვის ერთობლივი მომზადების მიზნით, მიიწვია იტალიელმა დ. მასალამ. ინგლისელი ხუთჭიდელი დაეხმარება იტალიელ ათლეტს გამოასწოროს ნაკლოვანებები რბენის ტექნიკასა და ცურვაში. „ეს არის მეგობრობის მაგალითი, რომელსაც ბადებს სპორტი", — წერს გაზეთი „მორნინგ სტარი".

**კარაკასი.** „ვენესუელა მიიღებს მონაწილეობას მოსკოვის ოლიმპიადაში, ვინაიდან არავითარი საფუძველი არა აქვს არ იასპარეზოს პლანეტის ამ უმნიშვნელოვანეს სპორტულ ფორუმში" — ადგილობრივ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა 1983 წლის ვენესუელის პანამერიკული თამაშების ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა კ. ლოვერამ. მან გააკრიტიკა იმ წრეების ცდები — მომავალი ოლიმპიადა ჩაშალონ საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში მონაწილე ქვეყნებზე პოლიტიკური დაწოლის გზით. ლოვერამ გამოთქვა რწმენა, რომ მოსკოვის ოლიმპიადა ხელს შეუწყობს მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს ხალხთა შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

**რომი.** ქალაქის მუნიციპალური სპორტული საბჭოს წერილში ნათქვამია, რომ მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობა გადაწყვეტით უარყოფს ვაშინგტონის ადმინისტრაციის მოწოდებას მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტის თაობაზე.

ხაზს უსვამს რა იმ გარემოებას, რომ ოლიმპიური მოძრაობა მუდამ ემსახურებოდა და ემსახურება ქვეყნებსა და ხალხთა შორის მშვიდობისა და ურთიერთგაგების კეთილშობილურ მიზნებს, მუნიციპალური სპორტული საბჭო აღნიშნავს, რომ მან მოუწოდა ქვეყნის ყველა პოლიტიკურ ძალას და იტალიის მთავრობას დადგეს სპორტული სამყაროს მკვეთრად გამოხატული მისწრაფებების შესაბამის პოზიციაზე.

**ტუნისი.** „ტუნისელი სპორტსმენები აქტიურად ემზადებიან მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის", — აქ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა ტუნისის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა დოქტორმა რ. მრადმა.

„ოლიმპიადები დიდ როლს ასრულებენ არა მარტო სპორტის განვითარების საქმეში, არამედ დიდი მნიშვნელობა აქვთ ხალხთა დაახლოებაში". — ხაზი გაუსვა მრადმა.

## ● კალათბურთი ხვალ კიევში...

**11 თებერვალს** კიევში იწყება კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის II წრის მეორე ტური.

თბილისის „დინამოს" მატჩების განრიგი ასეთია: 11 თებერვალს გუნდი ხვდება ნოვოსიბირსკის „ლოკომოტივს", 12-ში — მოსკოველ თანაკლუბელებს, 13-ში — კიეველ არმიელებს, 15-ში — ლენინგრადის „სპარტაკს", 16-ში — ცსკა-ს, 17-ში — ტალინის „კალევს".

საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი აწყობს კიევიდან თბილისელთა მატჩების გადაცემას. **ტელევიზიით** შეგიძლიათ ნახოთ შემდეგი შეხვედრები: 14-ში 21 საათსა და 40 წუთზე კიეველ არმიელებთან მატჩის II ნახევრის ვიდეოჩანაწერი, 16-ში 23 საათზე ლენინგრადის „სპარტაკთან" მატჩის II ნახევრის ვიდეოჩანაწერი. **რადიოთი** მოისმენთ შემდეგი მატჩების ჩანაწერს: 11-ში 14 საათსა და 45 წუთიდან — ნოვოსიბირსკის „ლოკომოტივთან", 12-ში 19 საათსა და 40 წუთიდან — მოსკოვის „დინამოსთან", 13-ში 21 საათსა და 30 წუთიდან — კიევის ასკ-თან, 15-ში 14 საათსა და 45 წუთიდან — „სპარტაკთან", 16-ში 18 საათსა და 20 წუთიდან — ცსკა-სთან, 17-ში 15 საათსა და 45 წუთიდან — „კალევთან".

## ● კლასიკური ჭიდაობა

### 38 წამში...

**მოსკოვში,** ცსკა-ს სპორტკომპლექსში გრძელდება სსრ კავშირის 49-ე ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. უკვე სამ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები. ოქროს მედლები მოიპოვეს ალმაათელმა ჟ. უშკემპიროვმა (48 კგ), როსტოველმა ბ. კრამარენკომ (62) და ვიტებსკელმა ი. კანიგინმა (90).

კარგად აიღო სტარტი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა, თბილისელმა ვ. ბლაგიძემ (52 კგ). მან პირველ წრეში 38 წამში დაამარცხა მოსკოველი ვ. ნეცვეტაევი, შემდეგ კი აშკარა უპირატესობით სძლია ევროპის ჩემპიონს, ერევნელ რ. ნერსესიანს. ამ წონაში ორი გამარჯვება მოიპოვა აგრეთვე ტაშკენტელმა კ. ფატკულინმა.

## ● მძლეოსნობა

### სეზონის პირველი საკავშირო...

**მოსკოვში,** ძმები ზნამენსკების მძლეოსნურ მანეჟში დაიწყო საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება. ასპარეზობაში 500-ზე მეტი ათლეტი ჩაება. რიგ სახეობებში უკვე გამოვლინდნენ პრიზიორები.

სპრინტერ ქალთა შორის 60 მეტრზე რბენა მოიგო დონის როსტოველმა ოსტატმა ლ. კონდრატიევამ — 7,35 წამი. მან უნივერსიადა-79-ის ჩემპიონს, მოსკოველ ო. კოროტკოვას ფინიშთან 0,01 წამით მიასწრო. III ადგილი ერგო მის თანაგუნდელ ვ. ანისიმოვას.

ვაჟთა შორის უძლიერესი გახლდათ ლენინგრადელი ვ. აქსინინი — 6,67.

ქალთა შორის ბირთვის კვრაში 2 მთავარი მეტოქის — ოდესელი ნ. აბაშიძისა და მოსკოველი ს. კრაჩევსკაიას დუელი მოსკოველი სპორტსმენის გამარჯვებით დასრულდა — 19,98 მ. აბაშიძე ამჯერად მეორე ადგილზე დარჩა — 19,13.

ვაჟთა შორის სიგრძეზე ხტომაში პირველობა წილად ხვდა ევროპის ექს-ჩემპიონს, დონეცკელ ვ. პოდლუჟნის — 7.89.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „სოფლის" ტრანსპორტი

**უზარმაზარ** ტერიტორიაზე გაშლილ ოლიმპიურ სოფელს, ბუნებრივია, საკუთარი ტრანსპორტი სჭირდება. ტერიტორიაზე მიმოსვლისთვის სპორტსმენები ისარგებლებენ — რაფ-3407 მარკის ავტომატარებლებით, რომლებიც 20-20-ადგილიანი ორი პატარა ვაგონისგან შედგება.

მარშრუტი იწყება დირექტორატის შენობასთან, მიჰყვება საცხოვრებელი ზონის პერიმეტრს და მთავრდება საერთაშორისო ზონის შესასვლელთან. მარშრუტის სიგრძეა 2 კილომეტრი, ავტომატარებლის სიჩქარე იქნება 20 კმ საათში.

მცირე წონის ტვირთისა და პირადი ნივთების გადასატანად დელეგაციების განკარგულებაში იქნება „ბალკანკარის" (ბულგარეთი) ფირმის ელექტროტრანსპორტი. შიდა ტრანსპორტი იმუშავებს 7-დან 23 საათამდე.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შეჯიბრებისა და ვარჯიშის ადგილებზე სპორტსმენთა გადაყვანას. ოლიმპიური სოფლიდან თამაშების მონაწილეებს გადაიყვანენ სპეციალური ავტობუსებით, რომელთა მოძრაობა დაიწყება შეჯიბრების სტარტამდე 2 საათით ადრე და შეწყდება შეჯიბრების დამთავრებიდან 1,5 საათის შემდეგ.

ოლიმპიური სოფლის მთავარ შესასვლელში მოწყობილია 370 მანქანის სადგომი, სადაც განსაზღვრულ ადგილებზე იქნებიან სხვადასხვა ქვეყნის სპორტულ დელეგაციებზე მიმაგრებული ავტომანქანები. ზუსტი და ოპერატიული მუშაობისთვის სადგომებზე იმუშავებს დისპეტჩერთა ჯგუფი.

თამაშის მონაწილეთა სამსახურისთვის ემზადებიან მძღოლებიც. ისინი სწავლობენ სპეციალურად შედგენილი პროგრამით, ეუფლებიან უცხოურ ენებსაც.

ვინც ბიტცას საცხენოსნო-სპორტული კომპლექსის სასტუმროში დაბინავდება, მათთვის გათვალისწინებულია სპეციალური მარშრუტი: ბიტცა — ოლიმპიური სოფელი.



ს უ რ ა თ ზ ე: ასეთია ოლიმპიური სოფლის ერთი უბანი. ამ სახლების კომფორტაბელურ ბინებში ოლიმპიადის შემდეგ მოსკოველი მშრომელები იცხოვრებენ.

საკდესის ფოტო.

# კანდიდატები და მასპინძლები

**ოლიმპიური** თამაშების ჩატარება ჩვეულებრივ ბევრ ქალაქს სურს ხოლმე, მათ დავაში ბედნიერი გამარჯვებული კი ძალზე ცოტაა. ასე, მაგალითად, XXI ოლიმპიური თამაშების ჩატარება რვა ქალაქს სურდა...

აი, რომელი ქალაქები იღებდნენ მონაწილეობას ამ კონკურსებში:

ლოს-ანჯელესი — რვაჯერ (მან 1932 წელს უმასპინძლა ოლიმპიურ თამაშებს, 1984 წელს კვლავ მასპინძლობა მოელის).

დეტროიტი — შვიდჯერ (შვიდჯერვე უშედეგოდ).

ბუენოს-აირესი — ექვსჯერ (უშედეგოდ).

ათენი — ხუთჯერ (ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა 1896 წელს).

მონრეალი — ხუთჯერ (თამაშებს უმასპინძლა 1976 წელს).

რომი — ხუთჯერ (ოლიმპიური თამაშები ჩატარდა 1960 წ.).

ბერლინი — ოთხჯერ (ოლიმპიური თამაშები ჩატარდა 1936 წ.).

ჩიკაგო—ოთხჯერ (უშედეგოდ).

ლოზანა — ოთხჯერ (უშედეგოდ).

ლონდონი — ოთხჯერ (ოლიმპიური თამაშები ჩატარდა 1908 და 1948 წ.წ.).

ალექსანდრია — სამჯერ (უშედეგოდ).

ამსტერდამი — სამჯერ (ოლიმპიადა ჩატარდა 1928 წელს).

ბარსელონა — სამჯერ (უშედეგოდ).

ჰელსინკი — სამჯერ (ოლიმპიადა ჩატარდა 1952 წელს).

მეხიკო — სამჯერ (ოლიმპიადა ჩატარდა 1968 წელს).

მინეაპოლისი — სამჯერ (უშედეგოდ).

პარიზი — სამჯერ (ოლიმპიური თამაშები ჩატარდა 1900 და 1924 წ.წ.).

ფილადელფია — სამჯერ (უშედეგოდ).

რიო-დე-ჟანეირო — სამჯერ (უშედეგოდ).

სტოკჰოლმი — სამჯერ (ოლიმპიური თამაშები ჩატარდა 1912 წელს).

ტოკიო — სამჯერ (ოლიმპიური თამაშები ჩატარდა 1964 წელს).

ბრიუსელი — ორჯერ (უშედეგოდ).

დუბლინი — ორჯერ (უშედეგოდ).

ლიონი — ორჯერ (უშედეგოდ).

მოსკოვი — ორჯერ (ოლიმპიური თამაშები — წლეულს).

სან-ფრანცისკო — ორჯერ (უშედეგოდ).

ამ ქალაქებს გარდა, კონკურსებში თითოჯერ მიიღეს მონაწილეობა: ანტვერპენმა, კლივლენდმა, მაინის ფრანკფურტმა, კიოლნმა, მადრიდმა, მილანმა, მელბურნმა, მიუნხენმა, ნიუ-იორკმა, ნიურნბერგმა, პრაღამ, სენტ-ლუისმა, ტორონტომ, ვენამ. მათგან ოლიმპიური თამაშები ჩაატარეს ანტვერპენმა (1920 წელს), მელბურნმა (1956 წელს), მიუნხენმა (1972 წელს) და სენტ-ლუისმა (1904 წელს).

# ემზადება...

**ახლოვდება** მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშები. ამ გრანდიოზულ სპორტულ ფორუმს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ მრავალი ღონისძიება ეძღვნება. ქართველ მარათონელ მოცურავეს ოთარ ჭიჭინაძეს გადაწყვეტილი აქვს ოლიმპიადასთან დაკავშირებით მოაწყოს ბათუმიდან ფოთამდე გადაცურვა (მანძილი 60 კმ).

— ჩემი მიზანია მოსკოვის ოლიმპიური თამაშების გახსნის წინ შევასრულო ეს ამოცანა, — თქვა ო. ჭიჭინაძემ, — ეს ალბათ ივლისის შუა რიცხვებში მოხდება, მანამდე კი მთელი დატვირთვით ვივარჯიშებ.

— უფრო კონკრეტულად?

— ყოველ დილით 2 საათს ვვარჯიშობ, შემდეგ სამსახურში მივდივარ, შაბათ-კვირას კი 3-4 საათი მიხდება წყალში ყოფნა. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ ფიზიკურ მომზადებას, გამძლეობის გამომუშავებას, რაც აუცილებელია მარათონელისთვის. ამ მხრივ საკმაო გამოცდილება მაქვს. 1971 წელს ახალი ათონიდან სოხუმამდე 25 კილომეტრი 11 საათსა და 55 წუთში გავცურე, ორი წლის შემდეგ კი 30-კილომეტრიანი დისტანცია 8 საათსა და 30 წუთში დავფარე. როგორც ხედავთ, პირველი გაცურვისას მეტი დრო დამეხარჯა, რაც ცუდი კლიმატური პირობებით იყო გამოწვეული. ძალიან დიდ როლს თამაშობს ზღვის დინება, რომელიც „გზადაგზა" შეიძლება რამდენიმეჯერ შეიცვალოს; ზოგჯერ ხელს გიშლის, ზოგჯერ კი — გეხმარება.

— რამდენი ხანია, რაც ცურვამ გაგიტაცათ?

— თავდაპირველად ძალოსნობაში ვვარჯიშობდი, თან საცურაო აუზში დავდიოდი. ბევრი მსმენია და წამიკითხავს მარათონელ მოცურავეებზე. ერთხელ გრძელ მანძილზე ცურვაში მეც ვცადე ბედი...

როცა ოლიმპიური თამაშების დედაქალაქად მოსკოვი აირჩიეს, გადავწყვიტე ერთი გაცურვა ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისთვის მიმეძღვნა და ვიმედოვნებ, რომ მიზანს მივაღწევ.

**ი. ჯულელი.**



ს უ რ ა თ ზ ე: ო. ჭიჭინაძე ვარჯიშის შემდეგ.

კ. ხალუქვაძის ფოტო.

---

**ოლიმპიადა-80-ის** საორგანიზაციო კომიტეტის სპორტული პროგრამების სამმართველოს წინაშე მდგარი ამოცანები მოკლედ ასე ჩამოყალიბდება: ოლიმპიური შეჯიბრებების ორგანიზაცია და მათი სპორტულ-ტექნოლოგიური საშუალებებით უზრუნველყოფისადმი კონტროლი. ამ ორი ფრაზის უკან გაკეთებული და აწ გასაკეთებელი უზარმაზარი მოცულობის სამუშაო იგულისხმება. საქმე ეხება მსოფლიოს სპორტულ ფორუმს, რომლის პროგრამაშია ოლიმპიური ტურნირები სპორტის 21 სახეობაში.

— ჩვენს წინაშე მდგარი ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი, — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა სამმართველოს უფროსმა ვ. როდიჩენკომ, — უკვე გადაწყვეტილია. ჩვენ მიერ შემუშავებული ოლიმპიური შეჯიბრებების განრიგი საათების მიხედვით შეთანხმებულია, დამტკიცებულია და ოლიმპიადა-80-ის დაწყებამდე ორი წლის წინ დაეგზავნა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს. საერთაშორისო სპორტული ფედერაციების მიერ მომზადებული და დამტკიცებულია ტექნიკური რეგლამენტები ყველა ოლიმპიურ სპორტის სახეობაში რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და ოლიმპიური ქარტიის ზუსტი შესატყვისობით თამაშებამდე ერთი წლით ადრე დაეგზავნა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებსა და ფედერაციებს.

## ოლიმპიური პანორამა

**მოსკოვის XXII ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 160 დღე!**

# უ ა მ რ ა ვ ი საზრუნავი

მიუხედავად ამისა, ცოტა საზრუნავი როდი დარჩა. ამჟამად მიმდინარეობს დამხმარე მსაჯთა პერსონალის, სულ 2500 კაცის, საბოლოო შერჩევა, რომლებიც მიემატებიან 1300 ჟიურის წევრსა და მსაჯს (აქედან 400 სსრ კავშირის წარმომადგენელია). ჩვენი ამოცანაა ყველაზე უფრო კვალიფიციური და მცოდნე არბიტრების შერჩევა, რომლებსაც აქვთ დიდი საკავშირო და საერთაშორისო ტურნირების ჩატარების გამოცდილება. რა თქმა უნდა, მათ შორის არიან საკავშირო კონკურსის — „ოლიმპიური არბიტრის" გამარჯვებულები.

დასასრულს უახლოვდება სპორტის ყველა სახეობაში ოლიმპიური შეჯიბრებების გასამართავი დირექტორატების შექმნა. მის შემადგენლობაში შევლენ სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები, რომლებიც პასუხს აგებენ სპორტულ-ტექნოლოგიური საშუალებებით შეჯიბრებების უზრუნველყოფაზე, მსაჯთა საბუთების დამუშავებაზე, სარბიელთა მომზადებაზე...

დიდი ყურადღება ეთმობა თამაშების დროს ოლიმპიელთათვის ვარჯიშის აუცილებელი პირობების შექმნას. შემიძლია ვთქვა, რომ მათ განკარგულებაში იქნება 70-მდე სპორტული სარბიელი, მათ შორის ისეთი თანამედროვე ბაზა, როგორიცაა ლენინური კომკავშირის სახელობის ავტოქარხნის სპორტული კომპლექსი. ვცდილობთ, რომ ყველა ეს ნაგებობა აღიჭურვოს მაღალხარისხოვანი ინვენტარითა და მოწყობილობით.

რამდენიმე კვირის წინ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს გავუგზავნეთ სპეციალური კითხვარი, რომელიც დაგვეხმარება განვსაზღვროთ ვარჯიშისთვის აუცილებელი დრო და სპორტული ნაგებობა თითოეული ეროვნული გუნდისთვის. უკვე მივიღეთ ბევრი პასუხი და ყურადღებით ვსწავლობთ ყველა სურვილს.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სპორტულ-ტექნოლოგიურ საშუალებათა მთელი კომპლექსის ათვისებას. ყველა ისინი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვითაა შესრულებული. მაგალითად, რიგის ქარხანა ვეფ-ში შემუშავებულ უნიკალურ სამსაჯო-საინფორმაციო აპარატურაში „გიმნასტ-2" კონსტრუქტორებს ახლა შეაქვთ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადით ნაკარნახევი შესწორებები.

ამ დღეებში მივიღებთ ბლანკებს განაცხადებისთვის. მალე მათ დავუგზავნით ყველა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, რომლებიც აღიარებული არიან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ. ყველა ისინი, შევსებული — მონაწილეთა წინასწარი შემადგენლობისა და რაოდენობის მითითებით — ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტმა უნდა მიიღოს არა უგვიანეს 19 მაისს 24.00 საათისა, ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ზუსტად ორი თვით ადრე.

ოლიმპიადა-80-ის სტარტებამდე 10-15 დღით ადრე საორგანიზაციო კომიტეტს უნდა ჰქონდეს ყველა პერსონალური განაცხადი. მაშინ გვექნება ზუსტი წარმოდგენა მოსკოვის ოლიმპიური თამაშების მონაწილეებზე. (საკდესი).

# ასეც მომხდარა...

### ჩემპიონი... ფოსტალიონი

**ოლიმპიურ** პროგრამაში მარათონული რბენის შეტანა ფრანგი ფილოლოგის მიშელ ბრეალის თაოსნობით მოხდა. მან პარიზიდან ოლიმპიადის ინიციატორებს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აღნიშნავდა: „თუ ათენის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი დათანხმდება პროგრამაში შეიტანოს სირბილი, რომელიც გაგვახსენებდა სახელგანთქმული ჯარისკაცის გმირობას მარათონიდან, მაშინ სიამოვნებით დავაწესებ ჯილდოს მარათონულ რბენაში გამარჯვებულისთვის". მისი წინადადება მიღებულ იქნა.

და აი, სტარტზე დადგა 25 კაცი — მათ შორის 21 ბერძენი.

თამაშების ორგანიზატორების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ჩემპიონობა მოიპოვა ბერძენმა... ფოსტალიონმა.

### დახრჩობას გადაარჩინეს

**ოლიმპიური** თამაშების ისტორიაში ბევრი მოულოდნელი ამბავი მომხდარა. 1948 წელს ლონდონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, დანიელი გრეტა ანდერსენი ძლივს გადაარჩინეს დახრჩობას, როცა 400 მეტრზე ცურვაში ასპარეზობდა. სპორტსმენს თურმე, შეეძლო სწრაფად ეცურა, მაგრამ გამძლეობით არ გამოირჩეოდა.

### რატომ დააჯილდოვეს?

**1912** წელს სტოკჰოლმში გამართულ ოლიმპიადაზე დიდი ზეიმით გადასცეს ოქროს მედალი შვეიცარიელ ქალს, გვარად ვერსელს. მას არც ერთ შეჯიბრებაში არ მიუღია მონაწილეობა.

მაშ რატომ დააჯილდოვეს ვერსელი ოქროს მედლით?

საქმე ის იყო, რომ სტოკჰოლმის ოლიმპიადაში მონაწილეობდა ვერსელის ოთხი ვაჟიშვილი და ოთხივემ წარმატებით იასპარეზა.

# ახალი სეზონის კონტურები

**1980 წლის საფეხბურთო სეზონი ჩვენს ქვეყანაში ფაქტიურად უკვე დაიწყო, მაგრამ მთავარი მოვლენები წინაა. სპორტის მოყვარულები მრავალრიცხოვან დაძაბულ შეჯიბრებათა მოწმეები გახდებიან. მათ მოელით სსრ კავშირის თასის გათამაშება (პირველი მატჩები გაიმართება 25 თებერვალს), სსრ კავშირის ჩემპიონატის მატჩები (სტარტი— 3 აპრილს), ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირი, ახალგაზრდული ნაკრების მონაწილეობა ევროპის პირველობის დასკვნით ნაწილში, საკლუბო გუნდების გამოსვლა ევროპულ ტურნირებში და მრავალი სხვა.**

**როგორი იქნება წინამდებარე საფეხბურთო სეზონი, რა პერსპექტივები გვაქვს ფეხბურთში? ამ კითხვებზე გასცა პასუხი სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა ვ. კოლოსკოვმა.**







— **თავისი** სტრუქტურით წლევანდელი სეზონი დაახლოებით ისეთივე იქნება, როგორც შარშან, ე. ი. უმაღლეს ლიგაში გამოვა 18 გუნდი, რომელთაგან ბოლო 2 ადგილზე გასულნი გადაინაცვლებენ პირველ ლიგაში. 24 კოლექტივი იასპარეზებს პირველ ლიგაში და მხოლოდ მეორე წრისთვის განისაზღვრება, თუ რამდენი მათგანი გადავა სამერმისოდ დაბალ ლიგაში. შენარჩუნებულია ფრეების ლიმიტი, თუმცა უმაღლეს ლიგაში თითოეული გუნდისთვის მათი რაოდენობა გაიზარდა ათამდე, პირველში კი დარჩა ძველი ციფრი — 12.

მთავარი ცვლილება ჩემპიონატის სტრუქტურაში ისაა, რომ მეორე ლიგის 9 ზონის ტურნირებს მართავენ რესპუბლიკური სპორტული ორგანიზაციები, რაც ფეხბურთის საკავშირო სამმართველოს საშუალებას მისცემს ყურადღების კონცენტრაცია მოახდინოს უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებზე, სსრ კავშირის ნაკრების მზადებაზე ოლიმპიური ტურნირისთვის, რეზერვების აღზრდასა და მომზადებაზე.

შარშანდელ სეზონში ოპტიმიზმი გამოიწვია უმაღლესი ლიგის რამდენიმე გუნდის კონკურენციამ ჩემპიონის წოდებისთვის ბრძოლაში, დაძაბულმა ბრძოლამ მრავალ შეხვედრაში. ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, მოსკოვის „სპარტაკს“, დონეცკის „შახტიორს“, თბილისის „დინამოს“, ერევნის „არარატს“, მაგრამ ნაკლოვანი მხარეები სეზონს საკმარისზე მეტი ჰქონდა. ძალზე სუსტად ჩაატარა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი სსრ კავშირის ნაკრებმა, ვადამდე გამოეთიშნენ ევროპის საკლუბო ტურნირებს ჩვენი გუნდები (მოსკოვის „დინამოს“ გარდა). მთავარია ის, რომ ყველაფერი, რაც ეტალონს წარმოადგენს ჩვენი შინაგანი ეროვნული ჩემპიონატისთვის, სრულიადაც არ შეეფარდება საერთაშორისო სტანდარტებს.

ჩვენ გვყავს საკმაოდ მაღალი კლასის გუნდები, მაგრამ მათ არ ძალუძთ კონკურენცია გაუწიონ უფრო ორგანიზებულ მეტოქეებს, რომლებიც ათლეტურადაც უკეთ არიან მომზადებული და თავიანთ შემადგენლობებშიც გაცილებით უკეთესი ფეხბურთელები ჰყავთ. ახლა ჩვენს გუნდებში არც ერთ რგოლში არა გვყავს გამოჩენილი მოთამაშეები, თუმცა დღევანდელ ფეხბურთში სწორედ ისინი წყვეტენ საპასუხისმგებლო მატჩების თუ ტურნირების შედეგებს. არსებითად ესაა ჩვენი ფეხბურთის ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლოვანება.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენში თანამედროვეობის დონეზე არ დგას ფეხბურთელებთან მუშაობა, ჩამორჩება სასწავლო-საწვრთნელი პროცესი. ყოველი ვარჯიში თავისი მიზანდასახულობით, შინაარსით, დაძაბულობით და მოცულობით უფრო მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე თვით თამაში. ფეხბურთელი, რომელიც მატჩის დროს, ვთქვათ, ხუთ-ექვსჯერ ურტყამს კარში, ვარჯიშის დროს ამასვე უნდა აკეთებდეს ათჯერ უფრო მეტად. ეს ეხება თამაშის სხვა კომპონენტებსაც. ლაპარაკია სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ინდივიდუალიზაციაზე.

ბევრი რამ გავაკეთეთ მსაჯობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. მსაჯთა საკავშირო კოლეგიას ხელმძღვანელობს საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი პ. კაზაკოვი. გადავსინჯეთ მსაჯებთან მუშაობის მეთოდები, უპირატესობა მივანიჭეთ იმ არბიტრებს, რომლებსაც მეტი საფეხბურთო პრაქტიკა აქვთ გავლილი. მსაჯთა მიმართ მთავარი მოთხოვნაა წესების ერთიანი ინტერპრეტაცია. მსაჯები არ უნდა ჩამორჩებოდნენ ფეხბურთის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, თვით სპორტსმენებს. უცხოელი მსაჯები ნებას აძლევენ ფეხბურთელებს ითამაშონ უფრო ძალისმიერად, ათლეტურად, რაც საერთოდ დამახასიათებელია ფეხბურთის დღევანდელი დონისთვის, ვიდრე ჩვენები. ისინი მკაცრად ებრძვიან უხეშობას, მსაჯთან ჯამათს. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ჩვენს მიერ ტელევიზიით ნანახი მატჩი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჰოლანდიის ნაკრებებს შორის. იქ არბიტრი ათლეტური თამაშის საშუალებას აძლევდა ფეხბურთელებს, მაგრამ ამავე დროს კატეგორიულად ებრძოდა უხეშობას.

ჩვენს დიდ საზრუნავს წარმოადგენს ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირი. მასში მონაწილე სსრ კავშირის ნაკრებს ყველა პირობა შეექმნა ნაყოფიერი მზადებისათვის. საკავშირო ჩემპიონატის კალენდარში გათვალისწინებულია შესვენებები ნაკრების ამხანაგური მატჩებისთვის. 26 მარტს იგი ბულგარეთში შეხვდება ადგილობრივ გუნდს, 29 აპრილს შვეციაში ითამაშებს ამ ქვეყნის ნაკრებთან, 23 მაისს მოსკოვში მიიღებს საფრანგეთის ფეხბურთელებს, 6 და 13 ივლისს, ასევე მოსკოვში, მიიღებს ნორვეგიისა და დანიის გუნდებს.

ამას გარდა, წლეულს შემოდგომით გვაქვს მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სტარტი. ამ შეჯიბრებაში უკვე ნება მიეცემათ ითამაშონ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ადრე გამოდიოდნენ მსოფლიო პირველობაზე და რომლებსაც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ნება არ დართო ეთამაშა ოლიმპიურ ნაკრებში. სავარაუდოა, რომ 7 მაისს ჩვენი ნაკრები ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები (ფეხბურთელთა ასაკი 21 წლამდე) განაგრძობს ბრძოლას ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში იტალიის გუნდთან, მოსკოვის „დინამო“ 5 მარტს და 19 მარტს საფრანგეთის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბთან — „ნანტთან“ ითამაშებს თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალში. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველი მატჩი (5 მარტს) გაიმართება თბილისში.

შემოდგომით 5 საბჭოთა გუნდი ჩაებმება ევროპის საკლუბო ტურნირებში (მათგან 3 მონაწილეობას მიიღებს უეფა-ს თასზე).

* * *

**სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა განსაზღვრა 1980 წლის საკავშირო ჩემპიონატისა და თასის გათამაშების წესი.**

**სსრ კავშირის ჩემპიონატში (უმაღლესი ლიგა) გამოვა 18 გუნდი:**

1. „სპარტაკი“ (მოსკოვი)
2. „შახტიორი“ (დონეცკი)
3. „დინამო“ (კიევი)
4. „დინამო“ (თბილისი)
5. „დინამო“ (მოსკოვი)
6. „დინამო“ (მინსკი)
7. „არარატი“ (ერევანი)
8. ცსკა
9. „ფახთაქორი“ (ტაშკენტი)
10. „ზენიტი“ (ლენინგრადი)
11. „ჩერნომორეცი“ (ოდესა)
12. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)
13. „ქაირათი“ (ალმა-ათა)
14. „ნეფთჩი“ (ბაქო)
15. ასკ (დონის როსტოვი)
16. „ტორპედო“ (მოსკოვი)
17. „კარპატი“ (ლვოვი)
18. „ყუბანი“ (კრასნოდარი)

**I ლიგის შემადგენლობა ასეთია:**

1. „ზარია“ (ვოროშილოვგრადი)
2. „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)
3. „პამირი“ (დუშანბე)
4. „შინიკი“ (იაროსლავლი)
5. „ფაკელი“ (ვორონეჟი)
6. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი)
7. „მეტალისტი“ (ხარკოვი)
8. „ნისტრუ“ (კიშინიოვი)
9. „ურალმაში“ (სვერდლოვსკი)
10. „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)
11. „ტორპედო“ (ქუთაისი)
12. „კუზბასი“ (კემეროვო)
13. „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)
14. „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი)
15. ასკ (ოდესა)
16. „სპარტაკი“ (ნალჩიკი)
17. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)
18. „ტავრია“ (სიმფეროპოლი)
19. „ისკრა“ (სმოლენსკი)
20. „კოლოსი“ (ნიკოპოლი)
21. „დინამო“ (სტავროპოლი)
22. „გურია“ (ლანჩხუთი)
23. „ბუსტონი“ (ჯიზაკი)
24. ასკ (ხაბაროვსკი)

გათამაშება უმაღლეს ლიგაში იწყება 3 აპრილს, ხოლო პირველში — 31 მარტს. ფრეების ლიმიტი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ასეთია: უმაღლეს ლიგაში — 10, პირველში — 12.

**II ლიგის გუნდები იასპარეზებენ 9 ზონაში. ზონების შემადგენლობები გამოქვეყნდება მოგვიანებით.**

სსრ კავშირის თასის გათამაშება მოეწყობა 2 ეტაპად. შეჯიბრება პირველ ეტაპზე დაიწყება 8 ზონაში:

**პირველი ეტაპი**

**I ზონა, სოჭი**

„სპარტაკი“ (მოსკოვი), „ზენიტი“ (ლენინგრადი), „ყუბანი“ (კრასნოდარი), „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი), „ფაკელი“ (ვორონეჟი), „მეტალისტი“ (ხარკოვი).

**II ზონა, სამარყანდი**

„შახტიორი“ (დონეცკი), „ჩერნომორეცი“ (ოდესა), „ზარია“ (ვოროშილოვგრადი), „კუზბასი“ (კემეროვო), „სპარტაკი“ (ნალჩიკი), „ტავრია“ (სიმფეროპოლი).

**III ზონა, უჟგოროდი**

„დინამო“ (კიევი), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „კარპატი“ (ლვოვი), „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი), „ნისტრუ“ (კიშინიოვი), „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი).

**IV ზონა, თბილისი**

„დინამო“ (თბილისი), „ქაირათი“ (ალმა-ათა), „ტორპედო“ (ქუთაისი), „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე), ასკ (ოდესა), ასკ (ხაბაროვსკი).

**V ზონა, ბაქო**

„დინამო“ (მინსკი), „ნეფთჩი“ (ბაქო), „ჟალგირისი“ (ვილნიუსი), „ზვეზდა“ (პერმი), „დინამო“ (ლენინგრადი), „თერგი“ (გროზნო).

**VI ზონა, ერევანი**

„არარატი“ (ერევანი), „ტორპედო“ (მოსკოვი), „შინიკი“ (იაროსლავლი), „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე), „კოლოსი“ (ნიკოპოლი), „ისკრა“ (სმოლენსკი).

**VII ზონა, დუშანბე**

ცსკა, ასკ (დონის როსტოვი), „ურალმაში“ (სვერდლოვსკი), „პამირი“ (დუშანბე), „კოლხოზჩი“ (აშხაბადი), „გურია“ (ლანჩხუთი).

**VIII ზონა, ფერგანა**

„ფახთაქორი“ (ტაშკენტი), „ტრაქტორი“ (პავლოდარი), „დინამო“ (სტავროპოლი), „ალგა“ (ფრუნზე), „ბუსტონი“ (ჯიზაკი).

თამაშები ზონებში იწარმოებს ერთ წრედ. თასის გათამაშება სტარტს აიღებს სამარყანდში 25 თებერვალს, სხვა ზონებში გათამაშებები იწარმოებს 27 თებერვლიდან 10 მარტამდე. 7 ზონის 2-2 გამარჯვებული უფლებას მიიღებს განაგრძოს ბრძოლა მერვედფინალში, VIII ზონაში კი ამ უფლებას მიიღებს მხოლოდ ერთი გუნდი — გამარჯვებული. ეს აიხსნება იმით, რომ მოსკოვის „დინამო“ სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალში უშუალოდ დაიშვება ზონალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიუღებლად, ვინაიდან მას ამ პერიოდში სამზადისი ექნება ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალში სათამაშოდ საფრანგეთის „ნანტთან“.

თასის მეორე ეტაპის (მერვედფინალები) გათამაშება მოეწყობა 15-16 მარტს, 30 მარტს გაიმართება მეოთხედფინალები, 30 მაისს—ნახევარფინალები, ხოლო ფინალი 9 აგვისტოს მოეწყობა ფიზკულტურელის საკავშირო დღეს.

# ნაგვიანევი მხილება...

**ფეხბურთის** მოყვარულებს კარგად ახსოვთ ის დღე — 1978 წლის 21 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონატი არგენტინაში, ქ. როსარიოს სტადიონი, მატჩი არგენტინისა და პერუს ნაკრებ გუნდებს შორის.

ვითარება იმ პერიოდისთვის უკიდურესად დაიძაბა. არგენტინელ ფეხბურთელებს, რომლებიც ოქროს მედლების უეჭველი მოგების პრეტენზიებით იყვნენ აღვსილი, მხოლოდ გამარჯვება აწყობდათ, მაგრამ გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც. რაღაც 1:0 ან 2:0 მათთვის ფაქტიურად წაგებას უდრიდა, ვინაიდან ბრძოლის შემდგომი გაგრძელების უფლებას არგენტინელები უიმედოდ კარგავდნენ, ფინალში კი მათს ადგილს ბრაზილიელები იკავებდნენ. პერუს ნაკრებთან არგენტინას მატჩი უნდა მოეგო სულ ცოტა ანგარიშით 4:0, რათა ფინალში ჰოლანდიელებთან თამაშის უფლება მოეპოვებინა.

მაგრამ როგორი საქმეა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, გადამწყვეტ ფაზაში, სადაც მხოლოდ უძლიერესნი არიან თავმოყრილი, მეტოქე დაამარცხო წინასწარ „დაპროგრამებული“ ანგარიშით — 4:0!

აი, არგენტინელებმა კი პერუს გუნდს ნამდვილი ბართლომეს ღამე გაუთენეს და გაიმარჯვეს ანგარიშით... 6:0!

დიდი ამბავი ატყდა მაშინ საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში ამ შედეგის გამო. ბევრ სპეციალისტს მიაჩნდა, რომ ასეთი მატჩი, პრინციპული, მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი, არ შეიძლებოდა ასე „პროზაულად“, ასეთი აბსოლუტური უპირატესობით დამთავრებულიყო, ლაპარაკობდნენ „საქმის ჩაწყობაზე“, გარიგებაზე, მოსყიდვაზე. ბრაზილიის ნაკრების უფროსი მწვრთნელი კ. კუტინიო, რომელიც ყველაზე უფრო დაინტერესებული პიროვნება გახლდათ ამ სიტუაციაში, ამტკიცებდა, რომ პერუს ფეხბურთელები უსირცხვილოდ, უტიფრად უთმობდნენ ყველაფერს მეტოქეს. დიდად განაწყენებული იყვნენ პერუელი გულშემატკივრებიც, რომლებმაც ლიმას აეროპორტში შინ დაბრუნებულ პერუს ფეხბურთელებს წვრილი მონეტების სეტყვა დააყარეს, რაც ერთობ არაორაზროვნად მიუთითებდა მათი მოსყიდვის ვერსიაზე...

უშუალო მამხილებელი ფაქტები, უტყუარი საბუთები არავის ჰქონდა ხელთ, იურიდიული დოკუმენტი არც კლაუდიო კუტინიოს გააჩნდა, არც ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციას, არც შეურაცხყოფილ პერუელ გულშემატკივრებს, თუმცა კულისებს მიღმა ჭორი სულ უფრო იზრდებოდა, „მრგვალდებოდა“, ფერადდებოდა ათასგვარი შელამაზებული ამბით.

ჯერ კიდევ მაშინ ლაპარაკი იყო 50 ათას დოლარზე, რასაც იუდას 30 ვერცხლს უტოლებდნენ — ამ ფასად გაყიდესო პერუს ნაკრების წევრებმა თავიანთი სპორტული პრესტიჟი ქალაქ როსარიოს სტადიონზე არგენტინელებთან მატჩში. ამას წინათ კი საერთაშორისო სპორტული პრესის ფურცლები მოიარა ყოფილი არგენტინელი მოკრივის, ახლა ფეხბურთის საქმოსნის ჯორჯ ფერნანდესის განცხადებამ, რომელიც მან გააკეთა რადიოთი. ფერნანდესი ამტკიცებს, რომ პერუელებმა არგენტინის ნაკრების გამგებელთაგან მატჩის დიდი ანგარიშით წაგების საფასურად მიიღეს 50 ათასი დოლარი, მაგრამ მათს მოთამაშეთა შორის იყო ერთი, რომელმაც კატეგორიულად განაცხადა, რომ ამგვარ მაქინაციებში არ მიიღებს არავითარ მონაწილეობას და იბრძოლებს ისე, როგორც ეს შეეფერება ჭეშმარიტ ფეხბურთელს. ამ კაცის გვარი ფერნანდესმა არ დაასახელა.

იმავე ფერნანდესმა განაცხადა, რომ ყოველივე ამ ამბის საქმის კურსშია ყოფილი პერუელი მოთამაშე როდოლო მონზოც, რომელიც ახლა არგენტინის ერთ-ერთ პროვინციულ კლუბში გამოდის.

ჯორჯ ფერნანდესის ეს განცხადება მაშინვე აიტაცეს ბრაზილიელებმა, ხოლო კ. კუტინიომ დაუყოვნებლივ მიმართა პრესას:

— საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს, ახლავე იქნას განხილული ამ გარიგების საკითხი!

საფეხბურთო ბრაზილიის სათაყვანო კერპმა — ზიკომ კორესპონდენტებთან საუბარში გაიხსენა, რომ განვლილი ჩემპიონატის ზემოხსენებულ პერიოდში პერუელები საგანგებო მეთვალყურეობით იყვნენ მოსილი, მათს სასტუმროში შესვლის უფლება ჰქონდათ მხოლოდ და მხოლოდ არგენტინელებს, სხვებს არავის, ბრაზილიელთა ნომრებში კი, მაგალითად, აკაკუნებდა ყველა, ვისაც კი ეს მოეპრიანებოდა.

ერთი სიტყვით, ზოგიერთები ახლა გულმოდგინედ ქექავენ 1978 წლის ზაფხულის იმ ნაგავს, ეძებენ კრიმინალის ელემენტებს მაშინდელი მსოფლიო ჩემპიონატის კულუარებში, მაგრამ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟ. ავილანჟმა (ბრაზილია) ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს „სენსაცია“ იგავ-არაკების სფეროდანაა და გამოჭმული კვერცხის ნაჭუჭადაც კი არ ღირს.

**რ. ქორიძე.**

● თბილისის XI საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

# წარმოგიდგენთ გამარჯვებულებს



ს უ რ ა თ ზ ე: ტურნირის პრიზიორები 78 კგ წონით კატეგორიაში (მარცხნიდან) მ. ალბორიშვილი, ა. ვოლოსოვი, ა. არუთინიანი და ხ. კაბასავა.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

**დიტმარ ლორენცი,** გდრ, 95 კგ წონითი კატეგორია, ევროპის ოთხგზის ჩემპიონი, 30 წლის. დაიბადა ტიურინგიის ერთ პატარა ქალაქში. ახლა ბერლინში ცხოვრობს. ცოლიანია. ჰყავს ქალიშვილი. სწავლობს სამხედრო სასწავლებელში. მოსკოვის ოლიმპიადის შემდეგ თავს ანებებს სპორტს.

● **ახლა ნებისმიერი შეჯიბრება ფაქტიურად ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპია. რას იტყოდით თბილისის ტურნირის შესახებ?**

— შარშანდელი სეზონი ჩემთვის უიღბლო გამოდგა — ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე პრიზიორთა შორის ვერ მოვხვდი. სპორტული ფორმის აღსადგენად წელს გადავწყვიტე ყველა ტურნირში მიმეღო მონაწილეობა. თბილისის ტურნირი ერთ-ერთი მათგანია, მით უფრო, რომ აქ ძალიან ძლიერი ძიუდოისტები იყრიან თავს. ესეც არ იყოს, თქვენი სპორტის სასახლე მუდამ სავსეა მაყურებლებით, ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა ჭიდაობის სიყვარული. სპორტსმენისთვის ეს ყველაფერი, იმის გარდა რომ სასიამოვნოა, სტიმულის მიმცემიც არის.

● **თქვენ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები ახსენეთ. როგორც ერთ, ისე მეორე ტურნირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები თითო „ოქროთი“ დაკმაყოფილდა. ცოტა ხომ არ არის თქვენი გუნდისთვის?**

— ვფიქრობ, არ გაგვიმართლა მთელ გუნდს. მართალი გითხრათ, სხვა მიზეზის მოძებნა მიჭირს.

● **ჭიდაობის რომელი სახეობაა ახლა თქვენთან პოპულარული?**

— ალბათ სამივე — კლასიკურიც, თავისუფალიც, ძიუდოც. თუმცა პოპულარობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აშკარად იკვეთება საფეხურები. ძიუდო თითო საფეხურით მაინც მაღლა დგას დანარჩენებთან შედარებით. მეტია ძიუდოში ვარჯიშის მსურველი, მეტია გულშემატკივარიც.

● **როგორ ფიქრობთ, მოსკოვის ოლიმპიადაზე ვინ იქნება იაპონელთა გუნდის მთავარი კონკურენტი?**

— მე ამ საკითხს მაინც ღიად დავტოვებდი, ანდა ასეთნაირად გიპასუხებდით: გუნდური პირველობისთვის ბრძოლაში იაპონიის, სსრ კავშირის, საფრანგეთისა და ჩვენს გარდა შეიძლება სხვებიც ჩაერიონ. მსოფლიოსა და ევროპის ბოლო ჩემპიონატებმა გამოაჩინა, რომ ძიუდო დღეს ფართოდ გავრცელდა ძალიან ბევრ ქვეყანაში, კლასიც თითქმის გათანაბრდა. გამარჯვებულთა და პრიზიორთა შორის არიან იტალიელები, ინგლისელები, ბრაზილიელები, იუგოსლაველები, შვეიცარიელები და სხვები.

● **რამ მიგიყვანათ ძიუდოში?**

— ერთადერთმა სურვილმა — არავის დავეჩაგრე. ბავშვობაში ძალიან გამხდარი და სუსტი ვიყავი.

რა თქმა უნდა, ახლა ევროპის ოთხგზის ჩემპიონს რომ უყურებ, კაცი ვერაფრით წარმოიდგენს დალეულ ბიჭუნას, თუმცა ჩემპიონის ხასიათში იმ შორეული ბავშვობიდან რაღაც მაინც დარჩა. ინტერვიუ რომ ვთხოვეთ, დიტმარმა ერთი წუთით დაგვტოვა, მწვრთნელისგან ნებართვას ავიღებო.

● **რას იტყოდით ოლიმპიადაზე თქვენი პოტენციური მეტოქის თემურ ხუბულურის შესახებ?**

— სიამოვნებით შევხვდებოდი კიდევ ერთხელ (ხუბულურს და ლორენცს ერთადერთი ორთაბრძოლა აქვთ ჩატარებული. გაიმარჯვა ხუბულურმა), თუნდაც მოსკოვში. სიამოვნებით იმიტომ, რომ მასთან ჭიდაობისას გრძნობ ძლიერ, ნამდვილად ღირსეულ მეტოქეს.

**საუბარი ჩაიწერა ი. ბერიძემ.**

* * *

● **გუშინ**

65 კგ წონით კატეგორიაში საქართველოს 2 წარმომადგენელი ასპარეზობდა — ტაბლიაშვილი და მარგველანი. პირველი რუმინელ ნიკოლაევთან გამარჯვების შემდეგ მეორე წრეში დამარცხდა. ქვეყნის ჩემპიონი ჭაბუკებს შორის მარგველანი პირველ წრეში თავისუფალი იყო, მეორე წრეში მტკივნეული ილეთით მოუგო სსრ კავშირის ნაკრების წევრს ჯანჩატოვს.

საინტერესოდ წარიმართა დილის შეხვედრები 71 კგ წონით კატეგორიაში. კარგად იასპარეზეს თამაზ ნამგალაურმა (მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი) და თამაზ კარიაულმა.

**საღამოს** გაირკვა პრიზიორთა ვინაობა ორივე წონით კატეგორიაში. 65 კგ: 1. ა. გვოზდიკი, 2. ვ. ტარაკანოვი, 3. პ. პონომარიოვი და ვ. სნახოვი (ყველა—სსრ კავშირი). 71 კგ: 1. თ. ნამგალაური (საქართველო), 2. ხ. ნაკანიოსი (იაპონია), 3. თ. კარიაული (საქართველო) და ლ. მიტანიკი (სსრ კავშირი).

## ორი ინტერვიუ

**ძიუდოისტთა** თბილისის XI საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირზე 95 კგ-ს ზევით წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულმა და პრიზიორმა, სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადისა და 1979 წლის საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანმა, მოსკოვის მრავალგზის ჩემპიონმა მძიმე წონაში, ძიუდოისტთა ოლიმპიური ნაკრების კანდიდატმა **ბორის ბერიძემ.** ტურნირის შემდეგ ჩვენ შევხვდით ჩემპიონს და ვთხოვეთ რამდენიმე კითხვაზე ეპასუხა. აი, რა გვითხრა მან:

— დავიწყე კლასიკური ჭიდაობით. არმიაში სამსახურის დროს გამიტაცა სამბომ. ცხრა თვეში შევასრულე სპორტის ოსტატის ნორმა სამბოსა და ძიუდოში და მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ძიუდო ყველაზე უფრო ახლოს იყო ჩემთვის — ყველაზე მეტად ამ სახეობაში გამოვიჩენდი თავს.

● **რომელ ტურნირს თვლით ყველაზე საპასუხისმგებლოდ?**

— ყოველი ტურნირი საპასუხისმგებლოა, მაგრამ მთავარია ტატამზე გამოსვლამდე შენი თავი განაწყო ბრძოლისთვის, არ გეშინოდეს მეტოქეებისა. ყოველი ტურნირი ჩემთვის გამოცდაა, ხოლო ჩემი გამოსვლა პასუხია გულშემატკივრებისა და სპეციალისტების ნდობისა.

● **უკვე მესამედ გამოდიხართ თბილისში. რას გვეტყვით ჩვენი ტურნირის შესახებ?**

— 1978 წელს პირველად გამოვედი თბილისის ტატამზე და ვერცხლის პრიზიორი გავხდი. ფინალში მხოლოდ სახელგანთქმულ იამასიტოსთან წავაგე. მომდევნო წელს ფორმაში არ ვიყავი და ეს შედეგსაც დაეტყო. ამჟამად კი კარგად მომზადებული ჩამოვედი. თანაბრად ვიბრძოდი ყოველ შეხვედრაში და, რა თქმა უნდა, თბილისელი მაყურებლის მხარდაჭერაც მამხნევებდა. თუმცა ტურნირზე გამარჯვება ერთი შეხედვით იოლი შეიძლება გეჩვენოთ, მით უმეტეს, რომ არ ჩამოვიდნენ სახელგანთქმული იამასიტო, ფრანგი რუჟე და სხვა უძლიერესი მძიმეწონოსნები. არ მონაწილეობდნენ საბჭოთა ძიუდოისტები კუზნეცოვი, ნოვიკოვი და ნიჟარაძე, რომლებსაც ჩემ ძირითად მეტოქეებად ვთვლი.

● **თქვენ ოლიმპიური გუნდის კანდიდატად ითვლებით. გვიამბეთ თქვენი მზადების შესახებ.**

— ოლიმპიურ ნაკრებ გუნდში მოსახვედრად გულმოდგინედ ვემზადები. მის ერთ-ერთ მთავარ ეტაპად ვთვლი სწორედ ძიუდოისტთა თბილისის XI საერთაშორისო ტურნირს. შემდეგი სერიოზული გამოცდა მომელის ვენაში ძიუდოისტთა კონტინენტის პირველობზე, და, რა თქმა უნდა, ზაპოროჟიეში სსრ კავშირის ჩემპიონატზე.

**საუბარი ჩაიწერა ა. ზენკომ.**

## კვლავ ბაკურიანში

„ოლიმპიური წელი არა მარტო ოლიმპიელთათვის!“ — ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდით ბაკურიანში: კოხტა გორას ფერდობებს ქვეყნის უძლიერესი სამთომოთხილამურენი სერავენ. ისინი სსრ კავშირის ჩემპიონატის III ტურის სტარტზე გამოდიან. აქვე გაიმართება დასკვნითი, IV ტურიც, რომელშიც „ლელოს“ პრიზები გათამაშდება. უკვე რამდენიმე დღეა აქ ვარჯიშობენ ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები ნ. ზელოვა, ს. ლებედევა, ს. რეუსი, ა. კულიკოვა, დები ნ. და ტ. პერჩატკინები, ს. ნაზაროვი, ვ. სინეტოვი, ვ. ასაფოვი, ნ. კედრინი, დ. გულიევი და სხვები.

ამ სიაში საპატიო მიზეზით არ არიან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ნ. პატრიკეევა-ანდრეევა, ვ. მაკეევი, ვ. ციგანოვი, ვ. ანდრეევი და ა. ჟიროვი, რომლებსაც ფრიად საპასუხისმგებლო მისია აქვთ დაკისრებული — დაიცვან საბჭოთა სპორტის ღირსება ზამთრის XIII ოლიმპიადაზე ლეიკ-პლესიდში.

ბაკურიანის სტარტებისთვის კარგა ხანია გულმოდგინედ ემზადებიან საქართველოს სპორტსმენებიც — მ. და ც. კოზანაშვილები, თ. გელაშვილი, ვ. სანაკოევი, გ. დიაკონაშვილი, ს. მიქაბერიძე და სხვები — სულ 25 კაცი. აღსანიშნავია, რომ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთაგან საკავშირო ჩემპიონატის პირველ ორ ტურში (სლავსკოე, 19-31 იანვარი) ყველაზე უკეთ იასპარეზა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა მ. კოზანაშვილმა („კოლმეურნე“), რომელსაც სპეციალურ სლალომში მერვე შედეგი ჰქონდა.

მესამე ტურის შეჯიბრებას დღეს ვაჟები გახსნიან. ისინი კოხტა პირველზე ერთმანეთს გიგანტურ სლალომში შეეჯიბრებიან, ხვალ კი ამავე სახეობაში ქალები იასპარეზებენ.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატის ორი ტურის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში წინ არის „დინამოს“ კოლექტივი.

ო. ნოზაძე,
„ლელოს“ სპეც. კორ.

## «სპორტლოტო»

**გუშინ** მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს“ მეექვსე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6-49“-დან:**

**პირველი:** 1 (საავიაციო სპორტი), 4 (მთამსვლელობა), 22 (ციგურები), 37 (სროლა), 38 (მშვილდოსნობა), 49 (შაში). შეღავათიანი ბურთულა 40 (ტურიზმი.,

**მეორე:** 1 (საავიაციო სპორტი), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 31 (ცურვა), 33 (რეგბი), 39 (სამბო), 40 (ტურიზმი). შეღავათიანი ბურთულა 5 (ბადმინტონი).

**„სპორტლოტო 5-36“-დან:**

**პირველი:** 4 (კრივი), 25 (საციგაო სპორტი), 27 (თანამედროვე ხუთჭიდი), 32 (ფარიკაობა), 33 (ფიგურული ციგურაობა).

**მეორე:** 4 (კრივი), 10 (ფრენბურთი), 19 (სათხილამურო რბოლა), 29 (ტყვიის სროლა), 33 (ფიგურული ციგურაობა).

● **წყალბურთი**

### ბურთი და წყალი

**მოსკოვისა** და მინსკის აუზებში დაიწყო წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტურის თამაშები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. **მოსკოვის** ქვეჯგუფში (წილისყრის მიხედვით) ბრძოლაში ჩაებნენ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის (კწფ—ბაქო), „დინამოს“ (ალმა-ათა), „დინამოს“ (ლვოვი), „მოსკვიჩისა“ და მოსკოვის უნივერსიტეტის, ხოლო **მინსკის** ქვეჯგუფში — „დინამოს“ (კიევი), „სპარტაკის“ (ვოლგოგრადი), „დინამოს“ (მოსკოვი), „ბურევესტნიკის“ (მინსკი), „დინამოსა“ (თბილისი) და „მეხნატის“ (ტაშკენტი) გუნდები.

5 სათამაშო დღის შემდეგ სპორტსმენები შეისვენებენ და 27 თებერვალს თორმეტივე გუნდი შეიკრიბება **თბილისში,** სადაც დამთავრდება პირველი წრის მატჩები. პრიზიორები გამოვლინდებიან ნოემბერში, როცა მეორე წრე ჩატარდება.

მოსკოვის პირველ შეხვედრათა შედეგები: სსფცსკ — უნივერსიტეტი 6:2, კწფ — „მოსკვიჩი“ 4:3, „დინამო“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (ლვოვი) 12:9, „მეხნატი“ — „დინამო“ (კიევი) 7:7, „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) 7:5.

**გუშინ** მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა შეხვედრაში გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 8:7.

● **ხელბურთი**

### ჩემპიონატი განახლდა

მინსკსა და კაუნასში განახლდა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი — გაიმართა მეორე წრის პირველი მატჩები.

**მინსკში** შეხვედრები ასე დამთავრდა: ასკ (კიევი) — „კრისტალი“ (ტაშკენტი) — 27:24, ფისკ (კრასნოდარი) — ასკ (ლვოვი)— 22:21, ასკ (მინსკი) — ცსკა — 20:18.

**კაუნასის** ტურმა ასეთი შედეგები მოგვცა: ზიი (ზაპოროჟიე) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — 28:25 (ტაიმი ჩვენებმა მოიგეს — 16:13), „გრანიტასი“ (კაუნასი) — „პოლიოტი“ (ჩელიაბინსკი) — 24:17, „კუნცევო“ (მოსკოვი) — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — 28:26.

● **ჩოგბურთი**

### ჯერჯერობით 1:1

საფრანგეთის ქალაქ მონპელიეს კორტზე დაიწყო საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ჩოგბურთელთა გუნდების შეხვედრა დევისის თასის გათამაშების ევროპის „ბ“ ზონაში. პირველი დღის შემდეგ ანგარიშია 1:1. ვ. ბორისოვმა 4 საათნახევრიან ბრძოლაში სძლია საფრანგეთის პირველ ჩოგბურთელს ი. ნოას — 3:6, 13:15, 6:4, 6:3, 6:4, ხოლო 19 წლის ს. ლეონიუკი დამარცხდა პ. პორტთან — 2:6, 4:6, 3:6.

## მხიარული ფანქრით



უსიტყვოდ.

ი. ყეინაშვილის ნახატები.

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამ სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე, სკკპ წევრი 1938 წლიდან

**ბორის ილიას ძე ტეკაევი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 07661